საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №747

2007 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს საპატრიარქოსათვის ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის ეროვნული პარკიდან შავი მთის მონასტრის მიმდებარე სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის (180 ჰა ფართობი) გამოყოფის შესახებ

1. საქართველოს ტყის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილისა და „სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის გამოყოფისა და ამ უბნის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის, მისი შეზღუდვის, შეჩერებისა და აკრძალვის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 10 დეკემბრის №506 ბრძანებულების შესაბამისად:

ა) დაკმაყოფილდეს საქართველოს საპატრიარქოს თხოვნა და რელიგიურ და სარიტუალო ღონისძიებათა ხელშეწყობის მიზნით ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის ეროვნული პარკიდან საქართველოს საპატრიარქოს გამოეყოს მიჩენილი უბანი;

ბ) მიჩენილ უბნად განისაზღვროს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის ეროვნულ პარკში მდებარე შავი მთის მონასტრის მიმდებარე 180 ჰა ფართობი დანართით განსაზღვრული გეოგრაფიული კოორდინატების შესაბამისად;

გ) მიჩენის ვადად განისაზღვროს 20 წელი;

დ) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მიჩენილი უბნის გამოყოფის მიზნით კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთ თვეში უზრუნველყოს საქართველოს საპატრიარქოსთან ხელშეკრულების გაფორმება და მიჩენილი უბნის გადაბარება.

2. ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნ. ბურჯანაძე

საქართველოს პრეზიდენტის

მოვალეობის შემსრულებელი

დანართი

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებიდან (ეროვნული პარკიდან)

გადასაცემი ტერიტორიის საზღვრების კოორდინატები

N	X	Y
01	636468	4569866
02	636609	4569621
03	636572	4569402
04	636732	4569149
05	636778	4568818
06	637532	4568878
07	638033	4568852
08	638139	4569110
09	637953	4569113
10	637998	4569457
11	638002	4569819
12	637926	4570277

13	637489	4570327
14	637113	4570285
15	636838	4569983